საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გიორგაშვილი ლევან გიორგის ძე

გიორგაშვილი ლევან გიორგის ძე (დ. 1. I. 1946, ყვარელი), მათემატიკოსი. ფიზიკა-მათ. მეცნ. დოქტორი (1995), პროფესორი (1997).

დაამთავრა თსუ-ის მექანიკა-მათ. ფაკ-ტი (1969). 1968–88 მუშაობდა თსუ-ის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინ-ტში, 1988-იდან – საქართვ. ტექნიკურ უნ-ტში. 2005-იდან საქართვ. ტექნიკური უნ-ტის მათ. ფიზიკის მიმართულების ხელმძღვანელია. 2005–06 იყო თსუ-ის ახალციხის ფილიალის მათემატიკა-ასტრონომიის ფაკ-ტის დეკანი.

იკვლევს მყარი დეფორმირებადი სხეულების მექანიკის სასაზღვრო ამოცანებს სხვადასხვა ველების გათვალისწინებით.